ფაქტორინგის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში

თამარი პატარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე ერგეშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თამარი პატარიძე

15.06.2023

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია, თუ როგორია საქართველოში ფაქტორინგული ოპერაციების წარმოების პროცესი და რა გამოწვევები არსებობს დღესდღეობით აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით საქართველოში; მოცემული კვლევა აქტუალურია, რადგან ფაქტორინგი წარმოადგენს ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომელიც კომპანიებს აძლევს საშუალებას გაყიდოს თავისი დებიტორული დავალიანება და მიიღოს შესაბამისი დაფინანსება; მოთხოვნის დამთმობისთვის, დებიტორული დავალიანება იქცევა ფულად, რაც თავის მხრივ ზრდის კომპანიის ლიკვიდობას, ხოლო მეორე მხარე იღებს შესაძლებლობას, შესყიდული საქონლის თანხის გადახდა მოახდინოს მასზე მორგებული გადახდის პირობებით. მოცემული კვლევის ფარგლებში მოხდება იმ ძირითადი რისკების იდენტიფიცირება, რომლებიც დღეს დგას ვაჭრობის ფინანსირების ამ მექანიზმის წინაშე და ხელს უშლის ფაქტორინგის განვითარებას საქართველოში.

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ, თემის გასაანალიზებლად ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ იმ ადამიანებთან, რომლებსაც გარკვეული ცონდა და გამოცდილება აქვთ დაგროვებული ფაქტორინგულ ოპერაციებთან დაკავშირებით და შეძლებენ ფაქტორინგთან დაკავშირებული რისკების შეფასებასა და ანალიზს.

საკვლევ კითხვებზე პასუხის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რაც იწვევს ფაქტორინგული ოპერაციების სიმცირეს საქართველოში, როგორიცაა: ფაქტორინგთან დაკავშირებით საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა, ადმინისტრაციული საკითხების მოუწესრიგებლობა ბიზნესის ნაწილში, ცნობიერის საკმაოდ დაბალი დონე და სხვა ფაქტორები, რომლებზეც კვლევის ფარგლებში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

კვლევის ფარგლებში ხაზი გავუსვით ფაქტორინგული დაფინანსების მნიშვნელობას და საჭიროებას ბიზნესისთვის და განვსაზღვრეთ, თუ რა აქტივობების გატარება არის საჭირო იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ ამ პროდუქტის განვითარებას საქართველოში;

დადგინდა, რომ ცნობიერების ამაღლება ბაზარზე, საკონონმდებლო ბაზის განვითარება და ფინანსური სექტორის მიერ ხელშეწყობა, ამ პროდუქტს უფრო ხელმისაწვდომს და ცნობადს გახდის ბიზნესისთვის საქართველოში, რაც თავის მხრივ გაზრდის ფაქტორინგული ოპერაციების წილს ბაზარზე;

კვლევის შედეგების საფუძველზე, გამოვლინდა ის ძირითადი პრობლემები, რასაც აწყდება საბანკო სექტორი ფაქტორინგული დაფინანსების შეთავაზების პროცესში. ამ ტიპის ოპერაციების წარმოებას თან ახლავს რისკები; აღნიშნულმა კვლევამ, დაადასტურა რომ, წინასწარ რისკების შეფასება და სახელმწიფოს მხრიდან მკაფიოდ გამოხატული ნების არსებობა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ბიზნესს ფაქტორინგის განვითარებაში, ზრდის ამ პროდუქტის წარმატების შესაძლებლობას. აღნიშნული ნაშრომით მიღებულია შედეგი და უკვე თვალსაჩინოა, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო ფაქტორინგული ოპერაციების წარმოებისას და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამომავლოდ ფაქტორინგის განვითარების ხელშესაწყობად საქართველოში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფაქტორინგი, მიწოდების ჯაჭვი, დებიტორული დავალიანება, მოთხოვნის დათმობა, ლიკვიდურობა, ფინანსური ლიმიტი, ადგილობრივი ფაქტორინგი, ფაქტორინგის ბაზარი.

ABSTRACT

The method of producing and operating factors in Georgia is discussed in the study and what challenges exist in relation to the mentioned processes in Georgia today. This study is relevant because factoring is one of the tools of business financing that allows companies to sell their receivables and obtain the appropriate financing; For seller, the receivables turn into cash money, which in turn increases the liquidity of the company, and the other party gets the opportunity to pay for the purchased goods with payment terms tailored to it. The main problems that this technique of trade financing now faces and that hinder the growth of factoring in Georgia will be identified within the context of this study.

The study was conducted using a qualitative research methodology. In particular, in order to analyze the topic, an in-depth interview was conducted with people who have accumulated some knowledge and experience related to factoring operations and will be able to estimate the risks related to factoring.

Due to the findings of the research questions, several factors were identified that lead to the lack of factoring operations in Georgia, such as the absence of a legal framework, administrative issues and other factors, which we will discuss about in more detail within the research.

In the context of the study, we pointed out the significance and necessity of factoring financing for businesses and identified the steps that must be taken to support the growth of this product in Georgia. Factoring will become more accessible and well-known to businesses in Georgia as a result of increased information about the market, the growth of the legal framework, and financial sector marketing, all of which will raise the share of factoring operations in the market.

The primary issues that the banking industry faces when providing factoring finance were highlighted based on the study's findings. Conducting these types of operations is accompanied by risks. The mentioned research has confirmed that preliminary risk assessment, maximum

support from the government and raising awareness regarding factoring increase the possibility of success of this product. With the results of this study already in hand, it is clear what considerations must be made while carrying out factoring operations and what actions must be taken to promote the growth of factoring in Georgia.

Key words: Factoring, Supply Chain, Receivables, Concession of demand, Liquidity, Financing Limit, Local Factoring, Factoring Industry.